RONDELI FOUNDATION
GEORGIAN FOUNDATION FOR
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რუსული პროპაგანდის ტენდენციები კორონავირუსის პანდემიისას

გრიგოლ ჯულუხიძე

138
ექსპერტის აზრი

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

გრიგოლ ჯულუხიძე

რუსული პროპაგანდის ტენდენციები კორონავირუსის პანდემიისას

138

2020

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2020 წელი

ISSN 1512-4835
ISBN

კოვიდ-19-ის გლობალურმა პანდემიამ მსოფლიო პოლიტიკის დღის წესრიგი რადიკალურად შეცვალა. ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი თუ პრობლემა, რომელიც საერთაშორისო არენაზე პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა, ახალი კორონავირუსის ჩრდილქვეშ მოექცა. სახელმწიფო და სუპრანაციონალურ აქტორთა მოქმედების განრიგი საყოველთაო ჯანდაცვის, ჰუმანიტარული პაკეტებისა და ეკონომიკის სტიმულირებაზე ორიენტირებული გამოწვევების ერთობლიობამ განსაზღვრა. გარდა ფატალური შემთხვევების დინამიკური ზრდის ტენდენციისა, მძიმე უკუჩვენებებით შეფერხდა მსოფლიო ეკონომიკა. ერთი სიტყვით, კოვიდ-19 შეეხო აბსოლუტურად ყველას, ბუქარესტიდან ბუენოს-აირესამდე, ანტანანარივოდან სიდნეიმდე.

ვირუსის დამანგრეველი შედეგების მიუხედავად, ცალკეული სახელმწიფოები მაინც იცლიან საგარეო-პოლიტიკური „თამაშებისათვის“. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი გამოირჩევიან (ამ სიტყვის ყველაზე ნეგატიური გაგებით).

წინამდებარე წერილის მიზანსაც სწორედ იმ ქვეყნის ჰიბრიდული და პროპაგანდისტული ოპერაციების მიმოხილვა წარმოადგენს, რომელმაც დეზინფორმაციის გავრცელება, ვირუსის მძვინვარებით გამოწვეული საგანგებო მდგომარეობის გამო, არათუ შეაჩერა, არამედ უფრო აგრესიული გახადა.

თუკი ჩინეთის შემთხვევაში მეტ-ნაკლებად შეგვიძლია ავხსნათ პროპაგანდისტული ფრონტის გაძლიერება (პეკინს ახლა მთელი მსოფლიოს წინაშე თავის მართლება უწევს, როგორც გლობალური პანდემიის გამომწვევ წყაროს), რუსეთის ქმედებები, ერთი შეხედვით, აუხსნელია. თუმცა, თუკი უფრო დიდი ყურადღებით დავაკვირდებით მოსკოვის და მასთან აფილირებული აქტორების ნარატივს, მოტივების გარკვევასაც მოვახერხებთ.

რუსული პროპაგანდის მიზნები

კრემლისა და მასთან აფილირებული ინტერნეტ-, მედია- თუ პოლიტიკური აქტორების მოქმედებებიდან გამომდინარე, კარგად იკვეთება, რომ მოსკოვის მოკლევადიანი და ხანგრძლივ პერსპექტივებზე ორიენტირებული მიზნები უცვლელია – დასავლური სამყაროს დეზინტეგრაცია, ევროატლანტიკური

ალიანსების პარალიზება, ამერიკის შეერთებული შტატების დემონიზება, ნიჰილიზმის გაღვივება, მსოფლიო მასშტაბით ქაოსის დიფუზია და, რაც მთავარია, თავდასხმა ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებზე. ერთადერთი რამ, რაც შეიცვალა, მოქმედების სტილია. რუსული პროპაგანდა უფრო აგრესიული და ინტენსიური გახდა.

ამჟამად დასავლეთს ვირუსით გამოწვეულ ჰუმანიტარულ-ეკონომიკურ ქარ-ცეცხლში უწევს ცხოვრება, ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხისათვის არ სცალია ან სათანადო ყურადღების მისაქცევად რესურსი არ ჰყოფნის. შესაბამისად, მსგავსი მოცემულობა იდეალურ ნიადაგს ქმნის აქტიური პროპაგანდისტული ოპერაციების წარმოებისათვის. დასავლური სამყარო უპრეცედენტოდ მოწყვლადი გახდა დეზინფორმაციული სახის კამპანიების მიმართ. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ უმეტესწილად კარანტინში მყოფი საზოგადოებები მოზღვავებული ინტერესით ეცნობიან მედია- თუ ინტერნეტსიახლეებს.

რუსული პროპაგანდა არც ამჯერად ღალატობს ფაბრიკაციების შექმნის ტრადიციულ ხაზს და უწყვეტ რეჟიმში მუშაობს მითებისა და შეთქმულების თეორიების გავრცელებაზე. თუკი დააკვირდებით მოსკოვის ნარატივს, ვირუსთან დაკავშირებული ცნობების მიზანი ყოველთვის „სენსაციური სიმართლის“ აუდიტორიამდე მიტანაა. თუმცა, მსგავს „სიახლეებს“ არც სენსაციასთან აქვს რამე საერთო და, მით უმეტეს, არც სიმართლესთან.

მითები და ფაბრიკაციები

პირველი მასშტაბური მითი რუსეთის მთავრობის მიერ დაფინანსებულმა Sputnik News-მა მიმდინარე წლის 22 იანვარს გაავრცელა. „სიახლე“ კოვიდ-19-ის წარმომავლობას ეხებოდა. ამ ონლაინსააგენტოს თანახმად, კორონავირუსი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატო) სარდლობის დაკვეთით ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ სამხედრო ლაბორატორიაში შეიქმნა, როგორც ბიოლოგიური იარაღი. სხვათა შორის, ეს მითი 15 ენაზე გავრცელდა და ყველაზე რეზონანსული არაბულ სამყაროში გახდა, სადაც წამყვანმა მედიასაშუალებებმაც კი მოამზადეს სპეციალური სიუჟეტები (von Hein, 2020).

მომდევნო ხმაურიანი დეზინფორმაცია რუსეთმა 23 მარტს გაავრცელა. ყველაფერი ალექსეი პუშკოვის[1] Twitter-პოსტით დაიწყო, სადაც მან შემდეგი სახის განცხადება გააკეთა: „პოლონეთმა იტალიისათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარებით სავსე რუსულ თვითმფრინავებს საჰაერო სივრცე ჩაუკეტა. ეს არის ნაძირლობა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე! მით უმეტეს, ეს დახმარება პოლონეთის მოკავშირისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსთვის – იტალიისთვის იყო“. (Sabak, 2020)

ეს მეტანარატიული მითი, რომ „ევროგაერთიანება ურთიერთსოლიდარობის მწვავე დეფიციტს განიცდის“, მაშინვე აიტაცა RT-მ (Russia Today), Sputnik News-მა და აბსოლუტურად ყველა პრორუსულმა საინფორმაციო აქტორმა.

სიმართლე ძალიან მალე გაირკვა. სინამდვილეში, არც პოლონეთს შეუზღუდავს რუსული თვითმფრინავების გადაადგილება და არც საჰაერო კორიდორის ორგანიზების თხოვნით მიუმართავს მოსკოვს ვარშავისათვის (Żaryn, 2020). ოდნავ მოგვიანებით იტალიური La Stampa-ს ჟურნალისტმა იაკოპო იაკობონიმ მსოფლიო საზოგადოებას ყოველგვარი შელამაზების გარეშე აუწყა, რომ კრემლის მიერ გაგზავნილი დახმარების 80% უვარგისი აღმოჩნდა, ხოლო ამ „ალტრუისტულ“ ოპერაციას უფრო სამხედრო-დაზვერვითი დატვირთვა ჰქონდა, ვიდრე ჰუმანიტარული (Iacoboni, 2020). სხვათა შორის, ამ სტატიის მომზადების შემდეგ იაკობონი სერიოზული ზეწოლისა და კრიტიკის ობიექტი გახდა. გარდა შეურაცხმყოფელი წერილებისა, მას დაემუქრნენ კიდეც. მუქარის გამხმოვანებელი რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერი იგორ კონაშენკოვი იყო. გარდა აგრესიული მონოლოგისა, რუსმა გენერალმა იტალიელ ჟურნალისტს ლათინური გამონათქვამი შეახსენა: „Qui fodit foveam, incidet in eam“[2] (Lopapa, 2020).

არანაკლები ენთუზიაზმით აიტაცა რუსულმა პროპაგანდამ ინტერნეტში გავრცელებული ვიდეო, რომელშიც იტალიელი მამაკაცი ევროკავშირის დროშას წვავს და მას რუსულით ანაცვლებს. ამასთან ერთად, იტალიურმა La Repubblica-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ WhatsApp-ით იტალიის მოქალაქეებს სპეციალური შეთავაზებები მისდით: „გადაიღეთ მოკლე ვიდეო, რომელშიც გაწეული დახმარებისათვის მადლობას უხდით ვლადიმირ პუტინს, ატვირთეთ ჩანაწერი სოციალურ ქსელებში და მიიღეთ 200 ევრო“. (Tonacci, 2020)

1 დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად პერმის სენატორი რუსეთის სათათბიროში.

2 „ვინც თხრის, თავად ვარდება ორმოში“.

კრემლის საყვარელი კოვიდ-ნარატივი „ევროკავშირის მოახლოებული აღსასრულია“. იტალიასა და ესპანეთში ვირუსის აფეთქების პირველივე დღიდან RT ხმამაღლა აცხადებს, თუ როგორ „მიატოვა ბრიუსელმა განსაცდელში მყოფი რომი და მადრიდი“. თუკი ამ ნარატიულ ხაზს ბოლომდე გავყვებით, „ლოგიკურად“ დავასკვნით, რომ „ევროგაერთიანება სუსტი და არაეფექტიანი სუპრანაციონალური აქტორია, რომელიც ძალიან მალე დაიშლება“. რუსული სახელმწიფო ტელევიზიები მუდმივად აღნიშნავენ, რომ იტალიაცა და ესპანეთიც მხოლოდ რუსულ-ჩინური სამედიცინო დახმარების იმედად არიან მაშინ, როცა ევროკავშირმა მათ ღირებული ვერაფერი შესთავაზა. სინამდვილეში, წევრი სახელმწიფოების ჰუმანიტარული წვლილი მრავალჯერ აღემატება მოსკოვიდან და პეკინიდან გაგზავნილ დახმარებებს (Sukhankin, 2020).

მთლიანობაში, The European Union’s External Action Service-ის 1 აპრილის მონაცემებით, რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა ევროკავშირისა და ზოგადად დასავლური სამყაროს ძირგამომთხრელი შინაარსის მქონე 80-მდე დეზინფორმაცია გამოავლინა (EU vs Disinfo, 2020).

რუსული პროპაგანდის ხელწერა:

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა აკადემიური კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ კვლევით დისციპლინას მიეკუთვნებოდა პროპაგანდა. ამ საკითხს სხვადასხვანაირად აღიქვამენ ჟურნალისტები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები და, შესაბამისად, განსხვავებულია დეფინიციებიც. კურცმა (1998) პროპაგანდას „ახალი ამბების ხლართვის ოსტატობა“ უწოდა, ხოლო დევიტომ – „საზიანო და არაეთიკური ტაქტიკა დარწმუნების მიზნით“ (Devito, 1986, 239). ჟაკ ელულმა პროპაგანდა ფსიქოლოგიური მანიპულაციის კუთხით განიხილა, ხოლო ლეო ბოგარტმა – არამექანიკური ხელოვნების. ძალიან პოპულარულია იოვეტისა და ო’დონელის განმარტებაც: „პროპაგანდა არის შეგნებული, სისტემური ხასიათის მქონე მცდელობათა ერთობლიობა, აღქმის ფორმირებისა და ქცევის მანიპულაციის მიზნით“ (Jowett and O’Donnell, 2012, 7). მიუხედავად არსებული უამრავი დეფინიციისაა, ამ კონკრეტული შემთხვევისათვის ყველაზე ადაპტირებული განმარტება ბარნეტს (1989) ეკუთვნის, რომლის თანახმადაც, მასმედიის გამოყენებით პროპაგანდა იდეოლოგიური მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალებაა.

სწორედ ამას აკეთებს რუსეთის ხელისუფლება ზოგადად და ახლაც, როდესაც მსოფლიოში კორონავირუსი მძვინვარებს. კრემლი მისთვის მისაღები პროპაგანდისტული მიზნების მიღწევას ფაბრიკაციების, სიცრუის გავრცელებისა და ნიჰილიზმის დიფუზიით ცდილობს. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კრემლი არა მხოლოდ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს, არამედ სოციალურ ქსელებს, საერთაშორისო ფონდებს, კვლევით ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ექსპერტებს, სარეკლამო კომპანიებს, დამოუკიდებელ მკვლევრებსა და საზოგადოებისათვის ცნობილ სახეებს იყენებს.

The European Union's External Action Service-ის მიერ გამოვლენილი დეზინფორმაციის თითოეულ შემთხვევაში რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა, ინტერნეტპორტალებმა, RT-მ, Sputnik-მა, ფაქტების ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, ერთნაირი შინაარსის მქონე ინფორმაცია გაავრცელეს, რომლის თანახმადაც, მომხდარზე პასუხისმგებლები მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სპეცსამსახურები არიან. პრორუსული საინფორმაციო აქტორების ნარატივის მიხედვით, თითოეული ზემოთ აღნიშნული მოვლენის სცენარი ვაშინგტონსა და ლონდონში დაიწერა.

მიმდინარე გლობალური კატაკლიზმის პირობებშიც კრემლი პროპაგანდის გამოყენებით განაგრძობს რუსეთში უძლეველი პუტინის კულტის შექმნას, რომელიც „მორალის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის, სიმტკიცის ეტალონია და, რაც მთავარია, იმ სისტემის ერთადერთი ალტერნატივაა, რომელშიც Pussy Riot-ი, სექს-სკანდალებით სახელგანთქმული ოპოზიცია, ევროპის ჰომოსექსუალი პოლიტიკოსები და ლიბერალურ ღირებულებებში ჩაკარგული უნიათო დასავლელი მმართველები თანაარსებობენ" (Dawisha, 2014, 770-771). პუტინის როლი ცენტრალურია, როგორც თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაში, ისე პროპაგანდაში.

მოსკოვის გამოცდილება

კორონავირუსი მსოფლიო განხილვის საგანი 2020 წლის იანვარში გახდა. შესაბამისად, ამ პერიოდში გააქტიურდა კრემლის პროპაგანდაც, თუმცა ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მოსკოვი ვირუსის თემის ინსტრუმენტალიზაციას ახდენს. ჯერ კიდევ 1949 წელს საბჭოთა პროპაგანდამ „ნატოს მიერ შექმნილ ხოჭოებზე" დაიწყო საუბარი, რომლის მიზანიც რუსეთის, უკრაინისა

და ბელარუსის სოციალისტურ რესპუბლიკებში მოსავლის სრული განადგურება იყო (Sukhankin, 2020).

კიდევ ერთი მსგავსი მითი-ფაბრიკაცია კგბ-მ 1983 წლის 17 ივლისს გაახმოვანა ერთ-ერთი ინდური გაზეთის მეშვეობით, რომლის თანახმადაც, აივ-ინფექცია CIA-ის მიერ შექმნილი ვირუსი იყო. ეს „ცნობა“ მაშინვე აიტაცა საბჭოთა პროპაგანდამ, თუმცა 1991 წელს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ევგენი პრიმაკოვმა აღიარა, რომ ეს მითი გლობალური ანტიამერიკანიზმის გაღვივებას ემსახურებოდა და მას საერთო არაფერი ჰქონდა სიმართლესთან (Darczewska, 2014).

იმავე ხელწერით მუშაობდა საინფორმაციო ფრონტზე მოსკოვი საქართველოს წინააღმდეგ. 2011 წელს თბილისში რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი გაიხსნა. კრემლმა მაშინვე დაიწყო ამ ლაბორატორიის დისკრედიტაცია და მის შესახებ მცდარი ინფორმაციის გავრცელება. „ლაბორატორია რეგიონში ღორის გრიპის, წითელასა და სხვადასხვა მძიმე ინფექციების გავრცელების წყარო შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან იქ ამერიკელები ახალ ბიოლოგიურ იარაღებს ცდიან“ (ძორია, 2019).

მსგავსი იყო ნარატივი ზიკას ვირუსის გავრცელებისას. აქაც ყველაფერი ამერიკის შეერთებულ შტატებს დაბრალდა.

2014 წელს, როდესაც რუსულ-უკრაინული ურთიერთობები კრიტიკული იყო, ცალკეულმა რუსულმა საინფორმაციო საშუალებებმა სიუჟეტიც კი მოამზადეს იმის თაობაზე, თუ როგორ „აინფიცირებდა“ უკრაინა აჯანყებულებს აღმოსავლეთ უკრაინაში (Sukhankin, 2020).

არ არის გასაკვირი, რომ რუსეთი, განსხვავებით ჯანდაცვის ფრონტისაგან, მომზადებული და საკმაოდ ორგანიზებული შეხვდა პროპაგანდისტულ ფრონტზე ვირუსით გამოწვეულ ქაოსს.

დასკვნა

რუსული პროპაგანდის მოქმედების დინამიკა ცხადყოფს, რომ ყველაზე მძიმე და კრიტიკული სიტუაციები მისთვის ბონუს-შესაძლებლობაა და არა – მუხრუჭი. რაც უფრო „ამღვრეულია“ გლობალური სოციალურ-პოლიტიკური ფონი, მით მეტი მანევრირების საშუალება ჩნდება.

ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, კრემლი აქტიურად გააგრძელებს თავისი პროპაგანდისტული ოპერაციების

განხორციელებას – ინტერნეტ სივრცის „დაბომბვას“, ფსევდომეცნიერების მოსაზრებების აფიშირებას, ფაქტების ფაბრიკაციასა და ყველაზე მოწყვლად სახელმწიფოებზე ზეწოლას.

კრემლის ობიექტი არ იქნება მხოლოდ დასავლეთი. ქვეყანაში გამძვინვარებული პანდემიისა და პუტინის რეიტინგის მკვეთრი ვარდნის გამო მოსკოვის გაძლიერებულ დეზინფორმაციულ ტალღას რუსული საზოგადოებაც უნდა ელოდოს. ამ კამპანიაში მთავარი იარაღი კი ტელევიზია იქნება. როგორც რუსი წარმოშობის ბრიტანელი მწერალი პიტერ პომერანცევი აღნიშნავს: „ქვეყანაში, რომელიც ცხრა სასაათო ზოლს ფარავს, არქტიკიდან ცენტრალური აზიის უდაბნოებამდეა გადაჭიმული, წყნარი ოკეანიდან ბალტიის ზღვამდე; ქვეყანას, რომელსაც მსოფლიოს ერთი მეექვსედი უჭირავს; სადაც არის სოფლები, რომლებიც შუა საუკუნეების დონეზე ცხოვრობს და მოსახლეობა წყალს ჭებიდან ხელით ეზიდება; სადაც არის პატარა ქალაქები თითო ქარხნით და ამავე დროს, ახალი მოსკოვის ლურჯი მინისა და ფოლადების შენობები, ტელევიზია ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს, მართოს და შეკრას ეს ქვეყანა“ (pomerancevi, 2017, 8).

დეზინფორმაციული ქარიშხალი კიდევ უფრო დიდი ძალითა და თავგანწირვით დაატყდება თავს ადგილობრივ საზოგადოებას. ახლა სასწორზე არა მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ინტერესები, არამედ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ხელისუფლების გადარჩენა დევს. ხელისუფლების, ანუ პუტინის, რომელიც ჰაერივით სჭირდება რუსულ პროპაგანდას, რადგან: „When you watch the Putin Show, you live in a superpower“[3] (Shteyngart, 2015).

3 „როდესაც პუტინის შოუს უყურებ, ზესახელმწიფოში ცხოვრობ“.

ბიბლიოგრაფია

1. Burnett, Nicholas. 1989. *Ideology and Propaganda: Toward an Integrative Approach*. In. T. Smith iii (ed.), Propaganda: A Pluralistic Perspective. New York: Praeger.
2. Darczewska, Jolanta. 2014. *Anatomia Rosyjskiej Wojny Informacyjnej.* Warszawa: Ośrodek Studiów Wschodnich im. Marka Karpia.
3. Dawisha, Karen. 2015. *Putin's Kleptocracy: Who Owns Rrussia*. New York: Simon & Schuster.
4. Devito, Joseph. 1986. *The Communication Handbook: A Dictionary*. New York: Harper & Row.
5. EU vs Disinfo. 2020. Disinfo China Coronavirus was predicted by Nostradamus. www.euvsdisinfo.eu/report/china-coronavirus-was-predicted-bynostradamus/?fbclid=IwAR0yAhm_uKIu3UAF3xSn3IpxpMH7QGWU8O6ksLDRxP-Krl6_mBGXVXl0W6M.
6. Iacoboni, Jacopo. 2020. Coronavirus, la telefonata Conte-Putin agita il governo: "Più che aiuti arrivano militari russi in Italia". *La Stampa*. www.lastampa.it/topnews/primo-piano/2020/03/25/news/coronavirus-la-telefonata-conte-putin-agita-il-governo-piu-che-aiuti-arrivano-militari-russi-in-italia-1.38633327.
7. Jowett, Garth and Victoria O'Donnell. 2012. *Propaganda and Persuasion*. Los Angeles: Sage Publications, Inc.
8. Kurtz, Howard. 1998. *Spin Cycle: Inside the Clinton Propaganda Machine*. New York: Free Press.
9. Lopapa, Carmelo. 2020. La Russia Minaccia un Giornalista Italiano: "Chi Scava la Fossa Ci Cade Dentro". *La Repubblica*. www.repubblica.it/politica/2020/04/04/news/russia_italia_jacopo_iacoboni-253071519/.
10. Sabak, Juliusz. 2020. Poland Issued no Airspace Restrictions for the Russian Humanitarian Aid Flights Headed to Italy. Coronavirus Employed by Kremlin as Means of Propaganda. *Defence24*. www.defence24.com/poland-issued-no-airspace-restrictions-for-the-russian-humanitarian-aid-flights-headed-to-italy-coronavirus-employed-by-kremlin-as-means-of-propaganda-commentary.
11. Shteyngart, Gary. 2015. 'Out of My Mouth Comes Unimpeachable Manly Truth.' *The New York Times*. www.nytimes.com/2015/02/22/magazine/out-of-my-mouth-comes-unimpeachable-manly-truth.html.
12. Sukhankin, Sergey. 2020. COVID-19 As a Tool of Information Confrontation: Russia's Approach. *International Center for Policy Studies*. www.papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=3566689.
13. Tonacci, Fabio. 2020. "200 Euro Se Ringrazi la Russia per gli Aiuti": Quello Strano Arruolamento su WhatsApp. *La Repubblica*. www.repubblica.it/esteri/2020/04/12/news/russia_propaganda_a_pagamento-253794264/.

14. von Hein, Matthias. 2020. Disinformation and propaganda during the coronavirus pandemic. *Deutsche Welle*. www.dw.com/en/disinformation-and-propaganda-during-the-coronavirus-pandemic/a-52970643

15. Żaryn, Stanisław. 2020. The Coronavirus Disinformation Campaign against Poland. *The Wall Street Journal*. www.wsj.com/articles/the-coronavirus-disinformation-campaign-against-poland-11585509765.

16. Zoria, Yuri. 2019. Who is Afraid of the Brown Stink Bug? Russian Disinformation about a Lab in Tbilisi. *Euromaidan Press*. www.euromaidanpress.com/2019/11/18/whos-afraid-of-the-brown-stink-bug-russian-disinformation-about-a-lab-in-tbilisi/

17. პომერანცევი, პიტერ. 2017. არაფერია ნამდვილი და ყველაფერი შესაძლებელია: მოგზაურობა თანამედროვე რუსეთში. თბილისი: რადარამი.